

ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში

ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომებზე განხილული პრიორიტეტული საკითხები და გადაწყვეტილებები

№	სხდომის ს.ოქმის №	ჩატარების ს.თარიღი	მიღებული გადაწყვეტილებები	შენიშვნა
1.	№ 8	06.02.2019	საბჭოს მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება და განახლებული სამოქმედო გეგმის განხილვა (2019-2021). ცვლილება საბჭოს შემადგენლობაში წარმომადგენლობითობის განსაზღვრით. შემუშავდა საბჭოს მდივნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი.	
2.	№ 9	06.03.2019	გენდერული თანასწორობის კვირეულის ფარგლებში აქტივობების დაგეგმვა. განათლების სფეროს განვითარების პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობა.	
3.	№ 10	19.06.2019	ქალმაშველების საქმიანობის გაცნობა, მათი საჭიროებების კვლევა.	
4.	№ 11	25.07.2019	„ქალთა ოთახების სტანდარტიზაციისა და მასშტაბების ზრდის“ საკითხებზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, აჭარის სავაჭრო პალატის ქალ ბისნესმენტა ასოციაციასთან არსებულ "ქალთა ოთახთან" საბჭოს ერთობლივი საქმიანობის შესახებ	
5.	№ 12	18.10.2019	შემუშავდა რეკომენდაციები ბიუჯეტის პროექტის დოკუმენტში გათვალისწინებული იქნას ქალთა საფეხბურთო კლუბის წარმომადგენლების საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა;	
6.	№ 13	09.04.2020	საბჭოს წევრები გაეცნენ საგანგებო მდგომარეობის პირობებში ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და შემთხვევაზე დაცული, დროული და ეფექტიანი რეაგირების გამო სახალხო დამცველის 2020 წლის 8 აპრილის განცხადების შესახებ პანდემიის პერიოდში სსიპ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა	

			<p>დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წარმომადგენლის რეკომენდაციით საბჭომ გამოხატა მზაობა მსხვერპლისთვის თავშესაფარში ყოფნის ვადის ამოწურვის შემთხვევაში პირველადი აუცილებელი პაკეტით უზრუნველყოფა;</p> <p>ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მყოფი ბენეფიციარების შვილები მომარაგდნენ საკანცელარიო ნივთებით (სახატავი რვეულები, გასაფერადებლები, ფანქრები, პლასტელინები და სხვა), სთამაშოებითა და ტანსაცმლით.</p> <p>ასევე საბჭომ უზრუნველყო უსტატუსო მარტოხელა დედების მხარდაჭერა სასურსათო კალათით, მედიკამენტებითა და ჰიგიენის ნივთებით.</p> <p>ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით საბჭომ უზრუნველყო ონლაინ ტრენინგი.</p>	
7.	№ 14	05.06.2020	<p>მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით განხორციელებული საქველმოქმედო კამპანიის შეჯამება, ანგარიში.</p> <p>საბჭო გაეცნო „ელექტრონული კურსი გენდერული თანასწორობის შესახებ“</p>	
8.	№ 15	10.12.2020	<p>საბჭომ გადაწყვიტა, რეგულაციებიდან გამომდინარე, 16 დღიან გლობალურ კამპანიას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ჰქონოდა დისტანციური ხასიათი ელექტრონული პლატფორმებისა და სოციალური ქსელის გამოყენებით.</p> <p>Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით შედგა საინფორმაციო შეხვედრა, სადაც მოწვეული იყო აჭარის არ პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს უბნის ინსპექტორების განყოფილების უბნის გამომძიებელი ნანა ხალითბა. ცნობილია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის პრიორიტეტულია ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა. სწორედ ამიტომ, ბოლო წლებში დაიხვეწა კანონმდებლობა, ძალადობის მსხვერპლთათვის შეიქმნა დამატებითი საკანონმდებლო გარანტიები და გაძლიერდა</p>	

			<p>ინსტიტუციური მექანიზმები. მიუხედავად ამისა, რადგან პრობლემა კვლავ აქტუალურია, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს პანდემიის შედეგად გამოწვეული გარემოებები, ამ კამპანიის ფარგლებში, საბჭომ მოისმინა აჭარის არ პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს უბნის ინსპექციების განყოფილების უბნის გამომძიებლის ნანა ხალითბას ინფორმაცია უკვე არსებული მექანიზმებისა და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების შესახებ.</p> <p>საბჭომ გაავრცელა ვიდეომიმართვები, რომლებიც მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართ - საინფორმაციო მხარდაჭერის მიზნით ჩაწერეს. ასევე პოპულარიზაცია გაუწია კამპანიის სიმბოლოს - ნარინჯისფერ ბაფთებს (მინიპერფომანსი) და კიდევ ერთხელ, მოუწოდეს საზოგადოებას ერთად დადგნენ ძალადობის წინააღმდეგ.</p> <p>საბჭომ შეიმუშავა რეკომენდაციები ბიუჯეტის პროექტის დოკუმენტში გასათვალისწინებლად:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. თავშესაფრის ბენეფიციარებს გაეწიოთ ერთჯერადი ფულადი დახმარება ან ბინის ქირით უზრუნველყოფა, საწყის ეტაპზე, დასაქმებამდე ხელშეწყობის მიზნით; 2. თავშესაფრისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით შეღავათიანი სარგებლობისთვის ბარათის გადაცემა, რომლითაც ისარგებლებდნენ ბენეფიციარები თავშესაფარში ყოფნის ვადით; 3. მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში თავშესაფარში მყოფი მცირეწლოვანი ბავშვებისთვის ადგილის გამოყოფა; 	
9.	№ 16	10.02.2020	მოისმინეს ანგარიში გაწეული საქმიანობის	

			<p>შესახებ.</p> <p>აღნიშნულ სხდომაზე მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები განაწილდნენ სამუშაო ჯგუფებში მუნიციპალური პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესწავლისა და კვლევების საჭიროებების გამოვლენის მიზნით. სამომავლოდ რეკომენდაციები მიეწოდება მერიის შესაბამის სამსახურებს ბიუჯეტის გენდერულად დაბალანსებისთვის.</p> <p>ასევე დაიგეგმა გენდერული თანასწორობის კვირეულის ჩატარება სლოგანით „ჩვენ შენი უფლებებისთვის“</p>	
10.	№ 17	02.03.2021	<p>საბჭოს შემადგენლობასა და დებულებაში შესატანი ცვლილების გაცნობა.</p> <p>2021-2022 წ.წ. სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა.</p> <p>კონსულტაცია მიეცა ოჯახში ძალადობის მსხვერპლს</p>	
11.	№ 18	01.03.2021	<p>ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ბათუმის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის რიგი ამოცანების შესრულების მიზნით რეკომენდაციების შემუშავება. კერძოდ:</p> <p>1. მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების პროგრამის (01 08) ფარგლებში სავალდებულო ტრენინგ მოდულებს შორის განისაზღვროს გენდერული თანასწორობის ტრენინგი; კერძოდ, ტრენინგის მოდული უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს: გენდერი (ძირითადი ტერმინები); გენდერული მენისტრიმინგი; გენდერული როლები და გენდერული თანასწორობა; საერთაშორისო აქტები და კონვენციები გენდერული თანასწორობის საკითხებზე; საქართველოს ვალდებულებები და საქართველოს კანონმდებლობა გენდერული თანასწორობის საკითხებზე; ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა; გენდერული ბიუჯეტი; გენდერული ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპები; გენდერული აუდიტი;</p> <p>2. საზოგადოების ინფორმირებულობის</p>	

			<p>ამაღლების პროგრამის (01 07) მიხედვით განისაზღვროს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის ღონისძიებების დაფინანსება; კერძოდ, პროგრამის ფარგლებში განისაზღვროს ბიუჯეტი 30 000 ლარის ოდენობით შემდეგი აქტივობებისთვის: საჯარო შეხვედრების ორგანიზება, კვლევების ჩატარება, კონფერენციების ორგანიზება; ლიფლეტების, პოსტერებისა და ფლაერების დაბეჭდვა; სარეკლამო კლიპებისა და ვიდეო-რგოების მომზადება გენდერული თანასწორობის საკითხებზე და მისი სატელევიზიო და ონლაინ სივრცეში განთავსება;</p> <p>3. მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის (06 02 02) ბენეფიციართა კატეგორიას დაემატოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირები. მნიშვნელოვანია, რომ ამ კატეგორიის პირებისთვის 1 წლის განმავლობაში უზრუნველოფილი იყოს ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა 300 ლარის ოდენობით (დაახლოებით 15 ბენეფიციარისთვის). აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებს დროებითი საცხოვრებლის დაფინანსების საქმეში;</p>	
12.				

განხორციელებული საქმიანობები

✓ მიღებულია საკრებულოს დადგენილება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ (დადგ. N77, 27.12. 2018)

✓ შესულია ცვლილება საბჭოს შემადგენლობაში და განსაზღვრულია საბჭოს შექმნის წარმომადგენლობითობა (განკ. 20. 05.03.2019)

✓ გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომები რეგლამენტირებულია (დებულება, თავი III, მუხლი 4, პუნქტები 2,3)

✓ გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებაში, საბჭოს ამოცანების, ფუნქციების და უფლებამოსილებების მუხლში დამატებულია გაეროს უშიშიშორების საბჭოს რეზოლუციის 1325 - ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება ლოკალიზაციის ხელშეწყობის პუნქტი (დებულება, თავი I, მუხლი 1, პუნქტი 2)

✓ დადგენილია საბჭოს მდივნის ფუნქციები (დებულება, თავი III, მუხლი 3, პუნქტი 4)

✓ გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივნისთვის შემუშავებულია სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი (ოქმი N8, 06.02.2019)

✓ საკრებულოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია საბჭოს საქმიანობის და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ამსახველი მასალები, კვლევები, პუბლიკაციები, ანალიტიკური მასალები, საბჭოს სხდომის ოქმები, გადაწყვეტილებები, რეკომენდაციები და ფოტო მასალა (საკრებულო ვებ-გვერდი: batumicc.ge, facebook)

✓ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად მერიისთვის, საკრებულოსათვის, წარდგენილია წინადადებები და რეკომენდაციები (საბჭოს სხდომის ოქმებში)

✓ შემუშავებულია მუნიციპალიტეტის საქმიანობის სფეროებისა და პროგრამების მიხედვით ასაკისა და გენდერულ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის და გამოყენების ფორმები და მეთოდები (Batumi.ge, Batumicc.ge)

✓ შექმნილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან/და მცხოვრები შშმპ პირთა, სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სქესის ნიშნით ✓ სეგრეგირებული სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზა, ხდება მისი პერიოდული განახლება (Batumi.ge)

✓ უზრუნველყოფილია გენდერული თანასწორობის შესახებ საინფორმაციო ბაზის ხელმისაწვდომობა (Batumi.ge, Batumicc.ge)

✓ მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით გაანალიზებულია საინფორმაციო ბაზა საჭიროებების გამოვლენის, გასატარებელი ღონისძიებების და მუნიციპალური პროგრამების შესამუშავებლად (Batumi.ge, Batumicc.ge)

✓ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოხელეებისათვის ჩატარებულია ტრენინგები ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის ფორმების და მეთოდების, აგრეთვე საინფორმაციო ბაზის ანალიზის საკითხებზე (2 შეხვედრა, 20 ადამიანი. Batumi.ge, Batumicc.ge)

✓ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოხელეებისათვის ჩატარებულია ტრენინგები გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებზე (2 შეხვედრა, 20 ადამიანი.)

✓ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისთვის ჩატარებულია სპეციალური ტრენინგები გენდერული თანასწორობის, ეროვნულ და საერთაშორისო ვალდებულებების, მათ შორის გაეროს უშიშორების საბჭოს რეზოლუცია N1325 - ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, გენდერულ მეინსტრიმინგზე, გენდერულ ბიუჯეტირებაზე, გენდერულ სტატისტიკაზე (Batumi.ge, Batumicc.ge)

✓ გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი და გენდერული თანასწორობის საბჭოს რამდენიმე წევრი გადამზადებულია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ასევე ეროვნული რეფერალური მექანიზმების შესახებ საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად (Batumi.ge, Batumicc.ge)

✓ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლებისთვის ჩატარებულია ტრენინგები გენდერული თანასწორობის საკითხებზე (Batumi.ge, Batumicc.ge)

✓ ჩატარებულია საინფორმაციო შეხვედრები ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ პირთა გენდერული მგრძობელობის ასამაღლებლად (Batumi.ge, Batumicc.ge)

✓ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გააჩნიათ თანამშრომლებს შორის დისკრიმინაციის დაუშვებლობის პოლიტიკა

✓ გენდერული თანასწორობის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში მომზადებულია და წარდგენილია საკრებულოსათვის

✓ მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმაში შეტანილია ცვლილებები

✓ მომზადებულია წინადადებები სამოქმედო გეგმით მომდევნო წლის ღონისძიებების განსახორციელებლად ადგილობრივი ბიუჯეტში შესაბამისი დაფინანსების გამოყოფის შესახებ. წინადადებები გათვალისწინებულია დამტკიცებულ ბიუჯეტში

✓ გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები ჩართულია სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში (11 ორგანიზაცია, ოქმი N16, 10.02.2021)

✓ სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად შემუშავებულია და განხორციელებულია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 –დღიანი კამპანიის ღონისძიებების გეგმა (იხ. საბჭოს facebook)

✓ ორგანიზებულია ქალთა უფლებების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სხვადასხვა კამპანიები თემის პოპულარიზაციის მხარდასაჭერად (იხ. საბჭოს facebook)

✓ სოციალური მედიასა და საინფორმაციო პორტალებზე გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის და გენდერულ საკითხები ნაწილობრივ გაშუქდა

✓ შემუშავებულია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის/სავარაუდო მსხვერპლთათვის დახმარების პროგრამა

✓ წარდგენილია ქალაქ ბათუმის ერთ-ერთი ქუჩისთვის წარმატებული ქალის სახელი

დამატებითი ინფორმაცია

ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკითხების უმრავლესობა, განსაკუთრებით 2019 წელს, შესრულებულია. 2020 წლის საკითხები, ეპიდემდგომარეობიდან გამომდინარე, ჩაანაცვლა საკითხებმა, რომელთა შინაარსიც განსაზღვრა იმ საჭიროებებმა, რაც იკვეთებოდა მოქალაქეების მხრიდან. კერძოდ,

✓ უსტატუსო მართოხელა დედების, რომელთაც ვერ შეეხო მუნიციპალური თუ სამთავრობო პროგრამები, სასურსათო კალათით მხარდაჭერა;

✓ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ბენეფიციართა შვილების ტანსაცმლითა და საკანცელარიო ნივთებით მომარაგება ;

(საჭიროების შემთხვევაში საბჭოს გამოცხადებული გვექონდა მზაობა პირველადი საჭიროების ნივთებითა და პროდუქტით იმ ბენეფიციარის მომარაგებისთვის, ვისაც უწევდა თავშესაფრის დატოვება.)

✓ ხანძრით დაზარალებულ მრავალშვილიანი ოჯახის სასურსათე კალათითა და ჰიგიენური ნივთებით დახმარება ;

✓ თვითდასაქმებული ქალების, ვინც ხელნაკეთი ნივთების დამზადებით იყო დაკავებული და არ ქონდათ ონლაინგაყიდვების გამოცდილება, ჩაუტარდათ უფასო ტრენინგი: ონლაინმარკეტინგისა და digital communication მიმართულებით - IRI -ს სახსრებით.

მიმდინარე საკითხები

✓ მომზადებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის გრძელვადიანი სტრატეგია

✓ გრძელვადიანი სტრატეგიის შესაბამისად, მომზადებულია მომდევნო წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა

✓ გენდერული თანასწორობის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში მომზადებულია და წარდგენილია საკრებულოსათვის

✓ მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე სამოქმედო გეგმაში შეტანილია ცვლილებები

✓ მომზადებულია წინადადებები სამოქმედო გეგმით მომდევნო წლის ღონისძიებების განსახორციელებლად ადგილობრივ ბიუჯეტში შესაბამისი დაფინანსების გამოყოფის შესახებ.

✓ შემუშავებულია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის/სავარაუდო მსხვერპლთათვის დახმარების პროგრამა

არსებული გამოწვევები

✓ საბჭოს ინსტიტუციური და ფინანსური სიმყიფე. კერძოდ:

- ა) სხვადასხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე გენდერული საბჭოს აქტივობების მორგება;
- ბ) მერიის შიდა აუდიტის რესურსის გამოყენებლობა (დაბალი კომპეტენციის გამო) მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის მიმართულებების მიხედვით განახორციელოს გენდერული აუდიტი;
- გ) მუნიციპალიტეტის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამაში საბჭოს ჩაურთველობა;
- დ) დაბალი კომპეტენციის გამო არასრულყოფილია გენდერული სტატისტიკა;
- ე) სამართლებრივი აქტების გენდერული ექსპერტიზის დაბალი კომპეტენცია;
- ე) გენდერულ საკითხებზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგების ჩატარების არჩევითობა (უნდა იყოს სავალდებულო);

განხორციელებული წარმატებული ნაბიჯები

✓ ცნობიერების გაზრდის მიზნით საერთაშორისო თარიღების, მათ შორის გენდერული კვირეულის და 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში აქტივობებისთვის სისტემური ხასიათის მინიჭება, მრავალფეროვანი სამოქმედო გეგმების;

✓ შემუშავებული ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის/სავარაუდო მსხვერპლთათვის დახმარების ქვეპროგრამები:

ა) მიუსაფარ დედათა და ბავშვთა თავშესაფრის ბენეფიციარებისთვის (ძალადობის მსხვერპლი მარტოხელა დედები) და მარტოხელა მშობლებისთვის თვეში მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება;

ბ) ადამიანით ვაჭრობის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ბათუმის ტრეფიკინგის და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის ბენეფიციართათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება;

გ) ძალადობის მსხვერპლთათვის დროებითი საცხოვრებლის დაფინანსების მიზნით 2022 წლის ბიუჯეტში გამოყოფილი თანხა;

მომავალ საანგარიშო პერიოდისთვის დაგეგმილი საქმიანობა

გლობალური პანდემიიდან გამომდინარე 2020 წელს შესასრულებელი საკითხები გათვალისწინებულია 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმაში.

ანგარიშზე პასუხისმგებელი პირი: ნატალია ზოიძე

საანგარიშო პერიოდი: 2019 -2021წ.წ.